

ხელშეკრულება N
SMP210003475 15/22-87

Contract N
SMP210003475 SF/22-87

„-----“ ----- 2022 წ.

„-----“ ----- 2022

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

შემსყიდველი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მ.შ შოთა შავლაყაძის სახით.

მისამართი: 0144 ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქ N191

საფოსტო კოდი: 0144

ტელ./ფაქსი: 2710002

საიდენტიფიკაციო კოდი №202297335

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება -ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი: 707297065

მიმწოდებელი: „GLORY TANG GROUP LIMITED“

წარმომადგენელი: TANG JUNSHENG

მისამართი: ROOM 2105, TJ2621, TREND CENTRE, 29-31 CHEUNG LEE STREET CHAIWAN, HONG-KONG

ტელ: +8617526627556

საბანკო რეკვიზიტები:

BANK NAME: CHINA MINSHENG BANKING CORP., LTD TIANJIN BRANCH

ACCOUNT: NRA040769

SWIFT CODE: MSBCCNBJ021

ორივე მხარე, მიმწოდებელი და შემსყიდველი ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის დ ქვეპუნქტის საფუძველზე აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. Parties to the Contract:

The Purchaser - LEPL State Military Scientific Technical Centre „DELTA“ represented by its Acting General Director Shota Shavlakadze .

Address: 0144 Monk 191 Monk Gabriel Salos Ave., Tbilisi, Georgia

Tel: 2710002

Zip code:0144

Identification code № 202297335

Receiving bank: State Treasury

Name of recipient – State Treasury General Account

Bank code: TRESGE22

Recipient account/treasury code: 707297065

The Supplier: „GLORY TANG GROUP LIMITED“

Representative: TANG JUNSHENG

Address: ROOM 2105, TJ2621, TREND CENTRE, 29-31 CHEUNG LEE STREET CHAIWAN, HONG-KONG

Tel: +8617526627556

Bank Details: CHINA MINSHENG BANKING CORP., LTD TIANJIN BRANCH

ACCOUNT: NRA040769

SWIFT CODE: MSBCCNBJ021

And both sides, the Supplier and the Purchaser, hereinafter collectively referred to as the „Parties“ or in the singular form as a „Party“, or in the singular form as a „Party“, according to the sub paragraph „d“ of paragraph 3 of Article 10¹ of Law of Georgia „On State procurement“, have entered this Contract on the following:

2. ხელშეკრულების საგანი (CPV: 19520000)

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელი“ ყიდის, ხოლო „შემსყიდველი“ ყიდულობს საქონელს (შემდგომში „საქონელი“), რომელიც აღნიშნულია დანართი N1-ში და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. Subject of the Contract (CPV: 19520000)

In accordance with the present Contract the „Supplier“, is selling and the „Purchaser“ is buying Goods (hereinafter referred to as „Goods“) specified in Annex №1, which presents an integral part of this Contract.

<p>3. საქონლის ღირებულება 3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 864.00 (რვაას სამოცდათხუთი) აშშ დოლარი. 3.2. საქონლის ერთეულის და ჯამური ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ით.</p>	<p>3. Value of Goods 3.1 The total value of goods to be provide sums up to 864.00 (eight hundred sixty-four) USD. (3.2 The unit value and total value of Goods is determined by the Annex N1.</p>
<p>4. ანგარიშსწორება 4.1 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. 4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 100% წინასწარ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და ხელმოწერილი ეგზემპლარების ელ.ფოსტით მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. 4.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა). 4.4 ანგარიშსწორების ვალუტა: აშშ დოლარი 4.5 დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები. 4.6 მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ ექვემდებარება შეცვლას. 4.7 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების (საბანკო გადარიცხვა) გზით.</p>	<p>4. Payment 4.1. The Buyer shall make cashless payment, on the account of the Supplier and Buyer as indicated in the present contract. 4.2. The Buyer undertakes to provide 100% payment in advance within 5 (five) working days after the sign the contract of both sides and exchange of signed copies by e-mail. 4.3. Form of payment: cashless (Bank transfer). 4.4. Currency of payment: USD. 4.5. Source of funding: Own Budget. 4.6. The prices indicated in the Contract are subject to no alteration during the fulfilment of the Contract by the parties. 4.7 The payment shall be effected by Bank transfer to the Supplier's account indicated in the contract.</p>
<p>5. საქონლის მიწოდების პირობები 5.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ქ.გუანჯოუში, შემსყიდველის მიერ მიწოდებულ მისამართზე. 5.2. საქონლის მიწოდება სატრანსპორტო კომპანიასთან განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების თარიღიდან არაუგვიანეს 2022 წლის 20 ივნისამდე. 5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი და ასევე, ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია: - ინვოისი; - CMR ან/და BL - შეფუთვის სია, რომელშიც მითითებულია საქონლის აღწერა, საქონლის რაოდენობა, შეფუთვის რაოდენობა, მთლიანი/წმინდა წონა, ციფრები, ტიპი და შეფუთვის მასალა თითოეული შეფუთვისთვის.</p>	<p>5. Terms of Delivery 5.1 The Goods foreseen by this contract, will be delivered by the Supplier at the Guangzhou, at the address indicated by the purchaser. 5.2. The Goods shall be delivered to the Transporte company no later than 20th June , 2022, after the date of making advance payment. 5.3 The Supplier shall submit the documentation stipulated in legislation at the delivery of the Good rendered Goods and also the documentation below: - Invoice; - CMR or/and BL - Packing list, specifying the Goods description, quantity of the Goods, number of packages, gross/net weight, numbers, type and packaging material for each package.</p>
<p>6. შეფუთვა 6.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას ნებისმიერი შესაძლო დაზიანების ან გაფუჭებისაგან შემსყიდველის მიერ მის მიღებამდე (მათ შორის, დანიშნულების ადგილამდე ნებისმიერი სახით ტრანსპორტირების პროცესში).</p>	<p>6. Packing 6.1 The Supplier shall ensure the relevant packing of Goods to protect them from any possible damages or deterioration until their acceptance by the Purchaser (including, during transportation by means of any kind of transport including transshipment to the destination).</p>

<p>6.2 ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებული საქონელი შეფუთული უნდა იყოს მიწოდების საუკეთესო ხავეჭრო პრაქტიკის შესაბამისად.</p> <p>6.3 საქონელს იდენტიფიცირების მიზნით შეფუთვაზე გაუკეთდება ინგლისურენოვანი მარკირება.</p>	<p>6.2 Packing of the Goods listed in Annex N1 shall be in accordance with Suppliers best trading practice.</p> <p>6.3 For the purpose of the identification the packing should be marked in English.</p>
<p>7. ხარისხი, გარანტია და საპატენტო უფლებები</p> <p>7.1 მიწოდებული იძლევა გარანტიას, რომ საქონელი დამზადებულია საუკეთესო მასალისაგან, არის აბსოლუტურად ახალი და გამოუყენებელი, შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში განსაზღვრულ ხარისხსა და სატექნიკურ მოთხოვნებს.</p> <p>7.2 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიწოდებელს.</p> <p>7.3 მიწოდებული იძლევა მიწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების (ვარგისობის) გარანტიას 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, რომელიც აითვლება საქონლის ტრანსპორტირების შემდგომ.</p>	<p>7. Quality, Warranty and Patent Rights</p> <p>7.1 The Supplier shall guarantee that the Goods are made of the best materials with first class workmanship, are brand new and unused, comply in all respects with the quality and specifications stipulated in Annex N°1.</p> <p>7.2 The settlement of disputes or material responsibility issues with respect to the violation of patent rights during the usage of Goods or any part of Goods, as well as, regarding the usage of trademarks or manufactured products, shall be provided by the Supplier.</p> <p>7.3 The Supplier gives guarantees for the fully functional (worthy) supplied Goods 12 (twelve) month that will start after the date of transport the goods.</p>
<p>8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</p> <p>8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განხორციელებს სსიპ სსსტც „დელტა“-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები კარანტინის უფროსი ან/და საწყობის უფროსი, შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარების, რაოდენობის (მოცულობის), საგარანტიო მომსახურების პირობების კონტროლის საკითხებზე, ხოლო ლაბორატორიული მომსახურების, სამშენებლო და საწარმო პროცესების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი პირები : ხელშეკრულების პირობებთან ხარისხობრივი შესაბამისობის განსაზღვრის კონტროლის საკითხებზე</p> <p>8.2 კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:</p> <p>8.2.1 ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;</p> <p>8.2.2 საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;</p> <p>8.3 კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.</p> <p>8.4 კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.</p>	<p>8. Contract Performance Control</p> <p>8.1 The Contract performance control shall be carried out by: The person (s) designated by the Logistic Department of the LEPL State Military Scientific technical center “DELTA” Head of quarantine and/or Head of warehouse control of performance terms, place of delivery, acceptance, quantity (volume), warranty terms fulfillment, The person (s) designated by the Department of Laboratory Services, Construction and Production Process Supervision compliance of the quality with the terms of the contract:</p> <p>8.2 Control shall be provided by the following means:</p> <p>8.2.1 Inspection of compliance of quality and quantity (volume) of Goods with the terms of the Contract and/or order, by visual (including examination by the specialist), measure off, technical and/or documentary methods;</p> <p>8.2.2 Monitoring of protection of agreed terms of delivery and quantity (volume);</p> <p>8.3 Control may be provided on any stage of Contract performance, at, as well as, after the acceptance of Goods, including after expiry of the Contract, in the period of existence of particular Contractual obligations.</p> <p>8.4 Control Location: the place of delivery and any other place, at the choice of the Purchaser.</p>

<p>9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</p> <p>9.1 მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.</p> <p>9.2. საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი შენიშვნის/პრეტენზიის არსებობის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინება მიმწოდებელს უნდა გაეგზავნოს საქონლის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.</p> <p>9.3. ზემოხსენებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის აუცილებელია, რომ საქონელს თან ახლდეს ამ ხელშეკრულების 5.3 პუნქტით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.</p> <p>9.4 საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში საქონლის დანიშნულების ადგილზე შემოსვლიდან.</p> <p>9.5 შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენლებს ენიჭებათ უფლება განახორციელონ საქონლის ცალმხრივი მიღება. ამ შემთხვევაში გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.</p> <p>9.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე თუ საქონლის ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნილი საქონლის ხარისხს, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.</p>	<p>9. Acceptance Terms of the Object of Purchase</p> <p>9.1 The transfer of Goods by the Supplier to the Purchaser and its acceptance by the Purchaser shall be confirmed by the Act of Acceptance, signed by the authorized representatives of Parties on the territory of Georgia.</p> <p>9.2. Any objections/remarks to the Goods and refusal by Purchaser from signature of Act of Acceptance may be provided to the supplier in written within 10 (ten) calendar days after the Goods are provided.</p> <p>9.3. For the signature of the above mentioned Act of Acceptance it is necessary that Goods have all the appropriate documentation stipulated in sub-paragraph 5.3 and foreseen by Georgian Legislation.</p> <p>9.4 The Act of Acceptance will be signed no later than 10 working days, after arrival of the Goods to the place of destination.</p> <p>9.5 The authorized representatives of the Purchaser have a right to carry out the acceptance of Goods unilaterally. In this case the appropriate Act of Acceptance shall be signed.</p> <p>9.6 The Purchaser may refuse to accept Goods if Quality of Goods reasonably does not comply with quality stipulated by this Contract.</p>
<p>10. უფლებების გადაცემა</p> <p>მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება მოვალეობანი.</p>	<p>10. Transfer of Rights</p> <p>The Supplier shall not transfer its rights and obligations determined by this Contract neither fully nor partially, unless the prior written consent of the Purchaser.</p>
<p>11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა</p> <p>11.1 მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა: საქონლის მიწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.</p> <p>11.2 პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:</p> <p>11.2.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;</p>	<p>11. Nonperformance of Contractual Terms</p> <p>11.1 In case of nonperformance of Contract requirements by the Supplier, the Supplier, without any prior notification, will be obliged to pay the following penalty to the Purchaser: For failing Goods delivery (including, failing the delivery in term determined by the Contract, or delivery of bad quality, of less volume, or without necessary documentation) - 0.1% of the Undelivered Goods delivery for each calendar day, but not exceeding 5% of the Contract value.</p> <p>11.2 Notwithstanding the payment of penalty, the Purchaser may:</p>

<p>11.2.2 მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 11.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.</p> <p>11.3 შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 5%-ისა.</p> <p>11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.</p> <p>11.5 საქონლის მიწოდებლობისათვის დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.</p>	<p>11.2.1 in accordance with the terms of this Contract terminate or preserve the Contract;</p> <p>11.2.2 Conclude the Act of Acceptance only for the part of Goods that are in compliance with the Contractual requirements, as for the non-complying part - impose the penalty as stipulated in sub-paragraph 11.1.</p> <p>11.3 In case of nonpayment of value determined by this Contract in the agreed time, the Purchaser shall pay the penalty to the Supplier, in the amount of 0.1% of nonpaid sum for each calendar day, but not exceeding 5% of the nonpaid sums.</p> <p>11.4 Payment of penalty does not exempt Party from its Contractual obligations.</p> <p>11.5 For the failure to Good delivery, charging of penalty for each day shall be terminated after the Supplier fully fulfills the obligations defined by this Contract or after expiry of the Contract or after termination of the Contract, whichever happens first.</p>
<p>12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება</p> <p>12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.</p> <p>12.2 თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.</p>	<p>12. Delay in Contract Performance</p> <p>12.1 If, in the process of Contract performance, Parties come to the delaying event, which prevents the performance of Contractual terms, relevant Party shall immediately notify the other Party in written on the delaying event, its probable duration and causes. The recipient of notification shall, as soon as possible, notify the other Party on its decision regarding these events.</p> <p>12.2 If due to delay the Parties agree to prolong the period for the performance of Contractual terms, this decision shall be concluded by the mean of amending the Contract. In case of agreement, the Party will not be bound to pay the penalty for the prolonged period.</p>
<p>13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა</p> <p>13.1. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.</p> <p>13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.</p>	<p>13. Amendments</p> <p>13.1. Any amendments and supplements to the Contract shall be provided only in written and signed by the authorized representatives of the Parties.</p> <p>13.2. If due to unforeseen reasons the Contractual terms have to be amended, the initiating Party shall inform the other Party with the relevant information in written</p> <p>13.3 Any modification, extension or amendment, which cause increasing of the total cost of this Contract or</p>

<p>13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა:</p> <p>13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა:</p> <p>13.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს:</p> <p>13.6. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.</p>	<p>deterioration of the conditions for the Purchaser is not allowed, unless envisaged cases by article 398 of the Civilian Code of Georgia;</p> <p>13.4 In case of conditions envisaged by article 398 of the Civilian Code of Georgia, it is not allowed to increase the total cost of the initially concluded State Procurement Contract more than 10%;</p> <p>13.5 Any modification, extension or amendment to any part of this Contract must be concluded by the written documents and signed by both Parties, which is the integral part of this Contract;</p> <p>13.6 Document of modification, extension or amendment to this Contract is signed by the Parties authorized representative(s).</p>
<p>14 ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>14.1 ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</p> <p>ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;</p> <p>ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>14.2 ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:</p> <p>ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);</p> <p>ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).</p> <p>14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.</p>	<p>14. Termination of Contract</p> <p>14.1 This Contract may be terminated before its expiry:</p> <p>a) Any time, by the bilateral written agreement;</p> <p>b) Unilaterally, by the initiative of a Party, if the other Party does not perform or unduly performs the obligation, on which it has been notified in written and been given the supplementary period not less than 30 (thirty) calendar days. Besides, the supplementary period shall not be given, if obvious that it will have no result, as well as in cases stipulated under the Civil Code of Georgia.</p> <p>14.2 Termination of the Contract (including due to its expiry) does not exempt Parties:</p> <p>a) From the performance of obligations, which have arisen prior to the termination of the Contract and/or have been used as the supplementary means of claim insurance (in the period of existence of these claims);</p> <p>b) From the obligation to satisfy the claim for damages (if any).</p> <p>14.3 The termination of particular terms of the Contract does not exempt the Supplier from the performance of other obligations.</p>

<p>15. ფორს-მაჟორი</p> <p>15.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.</p> <p>15.2 „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლებიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომელთა თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, დემონსტრაცია, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.</p> <p>15.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.</p> <p>15.4 ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.</p> <p>15.5 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.</p>	<p>15. Force-Majeure</p> <p>15.1 Parties are exempt from the responsibility for full or partial nonperformance of obligations in the event of force-majeure, when the performance of obligations is not possible.</p> <p>15.2 Under „force-majeure“ are deemed the events, which did not exist for the time of conclusion of the Contract and which could not be prevented or overcome by the Party, in particular: State of War, flood, earthquakes, fire, accidents, strikes, manifestation, epidemics, rapid reduction of budgetary appropriations and other similar events.</p> <p>15.3 The Party, which cannot perform its obligations due to force-majeure, shall immediately (not exceeding 5 calendar days from the occurrence of force-majeure) notify the other Party on the impossibility to perform obligations. In case of failure to notify or late notification the Supplier cannot refer to force-majeure, as the condition for the exemption of responsibility. The fact of force-majeure stipulated in the notification shall be confirmed.</p> <p>15.4 Notwithstanding force-majeure, the Party, which cannot perform its obligations, shall in good faith and reason refer to any alternative means of obligation performance.</p> <p>15.5 In the event force-majeure continues for more than 30 calendar days, the Parties may terminate the Contract unilaterally.</p>
<p>16. სადავო საკითხების გადაწყვეტა</p> <p>16.1 იმ შემთხვევაში თუ წამოიქმნება ნებისმიერი სადავო საკითხი ან უთანხმოება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან და/ან იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, ორივე მხარე უნდა შეეცადოს მიაღწიოს მორიგებაზე დაფუძნებულ შეთანხმებას.</p> <p>16.2 თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.</p> <p>16.3 დავების განხილვა და საქმისწარმოება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.</p>	<p>16. Settlement of Disputes</p> <p>16.1 Should any legal dispute or disagreement arise between the Purchaser and the Supplier in connection with the interpretation and/or implementation of this Contract both sides must try to reach an amicable settlement.</p> <p>16.2 In case the dispute cannot be settled by the negotiations, any Party may refer to the Court in Georgia.</p> <p>16.3 The dispute resolution and legal proceedings shall be carried out in accordance with Georgian legislation.</p>
<p>17. შეტყობინება</p> <p>17.1 თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს</p>	<p>17. Notification</p> <p>17.1 If not agreed otherwise by this Contract, any official relation between Parties in the scope of this Contract shall be provided in written (including email) and</p>

წერილობითი ფორმით და მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17.2 შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მესამე სამუშაო დღეს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.3 ხელშეკრულების დანართი, რომელიც მოცემულია ქვემოთ, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს:
- დანართი №1 საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის და ჯამური ღირებულება;

18.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე ერთ ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ელექტრონული ვერსია გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო დედანი შემსყიდველს. ქართულსა და ინგლისურს ტექსტს შორის განმარტების განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

delivered directly to the place of residence. The notification enters into force on the date of receipt by the recipient or on the determined date, whichever occurs late.

17.2 Notification by the Purchaser is deemed to be delivered also in case it is sent on the former address of the Supplier, which has been changed by the Supplier, but not notified to the Purchaser. In such event, the notification is deemed to be delivered on the third working day from the sending.

18. Other Provisions

18.1 This Contract enters into force upon signature by both Parties authorized representative and is valid up to 31th December of 2022.

18.2 All other issues which could not be settled by this Contract, is being settled according to the Legislation of Georgia.

18.3 The Annex to the Contract listed below represents the integral parts of the Contract:

- Annex №1 - Name of Goods, quantity, unit and total value;

18.4 Contract is made in Georgian and English languages and is signed by authorized and empowered representatives of the parties. This Contract is made in one copy, each being equally authentic. **Electronic version** shall be retained by the Supplier and **original copy** by the Purchaser. If there is difference in interpretation between Georgian-English text, preferential is Georgian version.

შემსყიდველი:
The Purchaser:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
LEPL – State Military Scientific-Technical Center "DELTA".

გენერალური დირექტორის მ.შ/
Acting General Director:

შოთა შავლაყაძე/Shota Shavlakadze

(Handwritten Signature)



მიმწოდებელი:
The Supplier:

"GLORY TANG GROUP LIMITED"
Representative: TANG JUNSHENG

For and on behalf of
Glory Tang Group Limited
榮唐集團有限公司

(Handwritten Signature: Tang Junsheng)

Authorized Signature(s)

2022 წლის N 1/22-87 ხელშეკრულების დანართი N1 SK/R 2-87
 Annex №1 of the 2022 Contract №

N	აღწერა Description	კლასიფიკაციის ატორის კოდები /CPV	რაოდენობა / QTY	ზ. ერთეული Unit	ერთ. ფასი (დოლარი) Unit Price (USD)	საერთო ფასი (დოლარი) Line Total (USD)
1	UHMWPE UD Fabric(4 Layer) 130gsm, 120cm width, color white	19520000	110	Meter/ მეტრი	3.40	374
					Sample Charge/ ნიმუშის დაწვადების სავაჭრო	450
					Transportation to Guangzhou/ ტრანსპორტირება გუანჯოუში	40
					მთლიანი ღირებულება: Total:	864 00

<p>შემსყიდველი: The Purchaser:</p> <p>სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო- ტექნიკური ცენტრი "დელტა" LEPL - State Military Scientific-Technical Center "DELTA".</p> <p>გენერალური დირექტორის მ.შ./ Acting General Director: შოთა შავლაყაძე/Shota Shavlakadze</p> <p><i>[Signature]</i> Stamp</p>	<p>მიმწოდებელი: The Supplier:</p> <p>"GLORY TANG GROUP LIMITED" Representative: TANG JUNSHENG</p> <p>For and on behalf of Glory Tang Group Limited 茶 添 集团 有限公司 Stamp Tang Junsheng Authorized Signature(s)</p>
--	---



ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი და ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ვიზირებულია:


გენერალური დირექტორის მოადგილე
მ. უსანეთაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
გ. იაგორაშვილი

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი
მ. ჯახუტაშვილი

ფინანსების და დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი
ჯ. კორძია

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მ.შ
შ. ყიფიანი



შესრულებულია:

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი

დაიბეჭდა 1 (ერთი) ეგზ.

ეგზ. N1- საქმეში

საფუძველი: N 01787(14.06.2022)

მომზადების თარიღი: 14.06.2022

შემსრულებელი: მ.ხუჭუა

ტელ: +995 595 60 80 40

ელ.ფოსტა: mkhutchua@delta.gov.ge

